პირველი პური კუტი გამოდგა

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 12 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “ლოკომოტივი” (მოსკოვი) 0:0.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი (მუჯირი), ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, ქანთარია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, გ. ნოდია (გავაშელი), ესებუა.

“ლოკომოტივი”: მილესი, კამზულინი, ოვჩინიკოვი, რიახოვსკი, პერეგონცევი, ვასინი (კოზლოვსკიხი), სიომინი (რიჟოვი), უტკინი, პისკუნოვი, ტრუსოვი, დავიდოვი.

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გაფრთხილებულია ქანთარია.

დუბლიორები – 4:1.

გავიდა მატჩის პირველი 10 წუთი, მერე 15… 20… 25, ტაიმმა შუა პერიოდს მიაღწია, მინდორზე კი არაფერი ჩანდა საიმისო, რომ ეს იყო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი, ოფიციალური შეხვედრა, რომლის შედეგსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის. მაყურებლები მოთმინებით უცდიდნენ მოვლენათა განვითარებას მინდორზე, ელოდნენ რაიმე გამწვავებებს, მაგრამ ამაოდ – იქ სრული “სიწყნარე” სუფევდა.

ასეთი უკონფლიქტო, მშვიდი დასაწყისი “ლოკომოტივს” ყოველმხრივ აძლევდა ხელს. ეს გუნდი სულ ახლახან დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას, კარგად არ იცნობს მეტოქეს და, საერთოდ, სტუმრად მოთამაშე დებიუტანტი ყოველმხრივ კმაყოფილი იქნება, თუ ბრძოლა თავიდანვე ისე წარიმართება, რომ მან ქულის აღების იმედი იქონიოს. შეხვედრა კი ისე მიმდინარეობდა, როგორც სტუმრებს სურდათ – დაბალი ტემპით, აუჩქარებლად, ხანგრძლივი დაყოვნებებით შუა მინდორში, მწვავე მომენტების გარეშე.

შეგვიძლია თითებზე ჩამოვთვალოთ პირველ ტაიმში შექმნილი ყველა რამდენადმე მაინც სახიფათო სიტუაცია: მე–10 წუთზე მეკარე მილესმა და მცველებმა ვერ გაუგეს ერთმანეთს და თვითონვე შეიქმნეს საფრთხე, რომელიც დინამოელებმა ვერ გამოიყენეს, მე–13 წუთზე ესებუას ჰქონდა კარგი შესაძლებლობა, მე–16 წუთზე მოსკოველებმა კუთხური მიაწოდეს, 25–ე წუთზე გოგია ფეხებში ჩაუვარდა დავიდოვს და ისე მოუხდა ბურთის აღება, 35–ე წუთზე კი მილესმა მოიგერია ხურცილავას შორეული დარტყმა. ეს იყო და ეს, მეტს ჩვენს ჩანაწერებში ვერაფერს მივაგენით.

შესვენების შემდეგ თამაში საგრძნობლად გამოცოცხლდა, ტემპმა იმატა და ბურთმაც შუა მინდვრიდან საჯარიმო მოედნის სიახლოვეს გადაინაცვლა, მაგრამ ეს მოხდა არა მასპინძლების, არამედ რკინიგზელთა გააქტიურების ხარჯზე. ეტყობა, ისინი მიხვდნენ, რომ საშიში არაფერი ელოდათ მოწინააღმდეგის მხრივ და შექმნილ ვითარებაში გადაწყვიტეს ერთის მაგიერ ორი ქულისთვის ებრძოლათ. მხოლოდ მაშინ, როცა “ლოკომოტივმა” რამდენიმე სწრაფი შეტევა განავითარა ნახევარმცველების ენერგიული მონაწილეობით, თბილისელებმაც მოუმატეს ტემპს, მაგრამ თამაშის შინაარსი არც ამით შეცვლილა: იგი კვლავ უინტერესო, უფერული იყო.

კარგს დინამოელთა თამაშზე, სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით. თავდამსხმელებმა სრული უუნარობა და უმწეობა გამოიჩინეს, ნოდიას სულ ორ–სამჯერ ჩაუვარდა ბურთი ხელთ, გუცაევს არავითარი სურვილი არ გამოუჩენია, რომ საკუთარ

თავზე აეღო ინიციატივა, ესებუა ხშირად იხევდა მინდვრის სიღრმეში, თუმცა იქ უმისოდაც იყვნენ "ნეიტრალური" მოთამაშეები. ნახევარმცველები ცოტას მოძრაობდნენ, იშვიათად სცდებოდნენ თავიანთ ზონის საზღვრებს, აყოვნებდნენ გადაცემას ან უზუსტოდ გადასცემდნენ, არ უტევდნენ…

ერთი სიტყვით, მატჩმა ვერ გაამართლა იმედები. იგი არც სპორტული თვალსაზრისით გამოდგა საინტერესო, არც სანახაობრივად. მოწყენილობა სუფევდა მინდორზეც და ტრიბუნებზეც. თბილისის "დინამომ" ჩემპიონატი ძალიან სუსტად დაიწყო.

ბ. ქორქია.
"ლელო", 15 აპრილი, 1975 წ.